ხელშეკრულება

ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარებაზე

ქ. ქუთაისი 01 იანვარი 2018 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ენერგია+“ (შემდგომში: „გამყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაალ მსხვილიძის სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში: „მყიდველი“), როგორც პირდაპირი მომხმარებელი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, ერთობლივად „მხარეებად“ წოდებული, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. განმარტებები

წინამდებარე „ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში“ (შემდგომში ხელშეკრულება) გამოყენებულ ტერმინებს, გააჩნიათ იგივე მნიშვნელობა, რაც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამასთან, ამ ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

1. **„მომარაგების პუნქტ(ებ)ი“** - პუნქტ(ებ)ი, რომელშიც „მყიდველი", ტრანსპორტირების ან განაწილების ლიცენზიატის ქსელიდან მიიღებს ბუნებრივ გაზს;
2. **„საბანკო დღე“** - კალენდარული დღე, რომლის დროსაც ხორციელდება გადარიცხვის ოპერაციები ეროვნული ბანკის საგადასახადო სისტემის საშუალებით;
3. **„საანგარიშო თვე“** - პერიოდი კალენდარული თვის პირველი რიცხვის 11.00 საათიდან შემდეგი კალენდარული თვის პირველი რიცხვის 11.00 საათამდე, რომლის განმავლობაში მყიდველს მიეწოდება ან უნდა მიეწოდოს ბუნებრივი გაზი;
4. **„საანგარიშო კვირა“** - ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან იმავე კალენდარული კვირის ბოლო სამუშაო დღემდე (შემდგომში „პირველი კვირის ბოლო სამუშაო დღე“) პერიოდი, ასევე, პირველი კვირის ბოლო სამუშაო დღიდან დაწყებული, ყოველი კალენდარული კვირის ბოლო სამუშაო დღიდან მომდევნო კალენდარული კვირის ბოლო სამუშაო დღემდე პერიოდი .
5. **„მესამე პირი“** - ნებისმიერი პირი რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს;
6. **„კომერციული აქტი“** - მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად შედგენილი ბუნებრივი გაზის მიღება-ჩაბარების აქტი;
7. **„ტრანსპორტირების ლიცენზიატი“** პირი, რომელიც „ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეწევა „ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების

საქმიანობას“ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად (ასევე შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია).

8. **„განაწილების ლიცენზიატი“** - პირი რომელიც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეწევა „ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას“ კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად;

9. **„განაცხადი“** - „მყიდველის“ მიერ შედგენილი ყოველთვიური წერილობითი მოთხოვნა, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს, ამ ხელშეკრულების დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად და რომლითაც განისაზღვრება შესაბამის „საანგარიშო თვეში“ მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის რაოდენობა, , ბუნებრივი გაზის მიწოდების გრაფიკი (საჭიროების შემთხვევაში) და სხვა გარემოებები;

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა.

2.2. „გამყიდველი“ ვალდებულია მიაწოდოს „მყიდველს“, ხოლო „მყიდველი“ ვალდებულია შეისყიდოს „გამყიდველის“ მიერ „მომარაგების პუნქტში“ მიწოდებული ბუნებრივი გაზი სამრეწველო მიზნებისათვის (გარდა გაზგასამართი სადგურებისათვის მისაწოდებლად) და დროულად აანაზღაუროს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.3 მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველი ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ბუნებრივი გაზით გამყიდველის მიერ მომარაგდება მხოლოდ იმ მომარეგების პუნქტებში, სადაც მყიდველი ტრანსპორტირების ლიცენზიატისგან იღებს ბუნებრივ გაზს.

მუხლი 3. ბუნებრივი გაზის სახელშეკრულებო რაოდენობა

3.1 „მომარაგების პუნქტში“ ბუნებრივი გაზის მიწოდების პერიოდი, საპროგნოზო მოცულობა, წლიური, თვიური და დღიური საპროგნოზო გრაფიკები, მოცემულია ამ ხელშეკრულების №1 და №2 დანართებში.

3.2. ამ ხელშეკრულების დანართი 1-ში მოცემული ბუნებრივი გაზის საპროგნოზო მოცულობა არ წარმოადგენს საანგარიშსწორებო ან სავალდებულოდ შესასყიდ მოცულობას. „საანგარიშო თვეში“ ბუნებრივი გაზის შესასყიდი მოცულობა განისაზღვრება მხარეთა მიერ ყოველთვიურად ამ ხელშეკრულების დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.

მუხლი 4. მომარაგების პუნქტ(ებ)ი

4.1. „მომარაგების პუნქტები“ სადაც „გამყიდველის“ მიერ განხორციელდება ბუნებრივი გაზის მიწოდება „მყიდველისთვის მოცემულია ამ ხელშეკრულების დანართ 1-ში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „მომარაგების პუნქტების“ ცვლილება ან/და ახალი (დამატებითი) „მომარაგების პუნქტის“ განსაზღვრა, საჭიროებს მხარეთა მიერ წინასწარ დამატებით წერილობით შეთანხმებას. ამ მიზნით „მყიდველი“ ვალდებულია, „საანგარიშო თვის“ დაწყებამდე 30 კალენდარული დღით ადრე მაინც წერილობითი ფორმით წინასწარ აცნობოს „გამყიდველს“. იმ „მომარაგების პუნქტების შესახებ, რომლებიც არ არის აღნიშნული ამ ხელშეკრულების დანართ 1-ში.“

4.3 საანგარიშსწორებო პერიოდში „მყიდველისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდება ხორციელდება „მომარაგების პუნქტებში“, რაც დასტურდება მხარეთა მიერ შედგენილი „კომერციული აქტით“.

4.4 „გამყიდველი“ და „მყიდველი“ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 8 (რვა) რიცხვისა, შეადგენენ და ხელს აწერენ „კომერციულ აქტს“ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გაზის მიწოდების პუნქტში საანგარიშო თვეში მიწოდებული გაზის რაოდენობის შესახებ, რომელშიც მოცემული იქნება „საანგარიშო თვეში“ მიწოდებული გაზის ფაქტობრივი რაოდენობა. „კომერციული აქტის“ თითო ორიგინალი გადაეცემა გამყიდველს და მყიდველს

4.5 „მყიდველის“ მიერ ამ მუხლის 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში „გამყიდველთან“ კომერციული აქტის ან/და გაზის ტრანსპორტირების განმახორციელებელ პირთან მიღება-ჩაბარების ტექნიკური აქტის გაუფრმებლობის ან მიღებული გაზის რაოდენობაზე უარის თქმის შემთხვევაში, „გამყიდველი“ ადგენს ცალმხრივ კომერციულ აქტს და გადასცემს „მყიდველს“, რომელიც დაუყოვნებლივ შედის ძალაში. ამასთან, „გამყიდველი“ უფლებამოსილია უპირობოდ შეუწყვიტოს „მყიდველს“ ბუნებრივი გაზის მიწოდება.

4.6 თვიური მიღება-ჩაბარების „კომერციული აქტი“, ხოლოს ამ ხელშეკრულების 4.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ძალაში შესული ცალმხრივი „კომერციული აქტი“ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, წარმოადგენს მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორების დოკუმენტს.

მუხლი 5. ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე ყოველთვიური განაცხადი

5.1. ამ ხელშეკრულების დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, „მყიდველმა“, ყოველი „საანგარიშო თვის“ დადგომამდე 10 დღით ადრე მაინც, „გამყიდველს“ შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს ბუნებრივი გაზის მიწოდების „განაცხადი“.

5.2. „გამყიდველს“ უფლება აქვს, არ დაეთანხმოს „განაცხადში“ ასახულ მონაცემებს . რაზედაც განაცხადის მიღებიდან 2 საბანკო დღეში ელექტრონული ფორმით წარუდგენს „მყიდველს“ დასაბუთებულ უარს. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს არ გაეგზავნება ამგვარი უარი, განაცხადი შეთანხმებულად ჩაითვლება.

5.3. თუ „მყიდველი“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ყოველთვიურად „გამყიდველს“ არ წარუდგენს „განაცხადს“ ან/და მხარეები ვერ შეთანხმდებიან განაცხადის პირობებზე „გამყიდველს“ უფლება აქვს შეუწყვიტოს „მყიდველს“ ბუნებრივი გაზის მიწოდება.

მუხლი 6. სახელშეკრულებო ფასი

6.1 „გამყიდველის“ მიერ „მყიდველისათვის“ საანგარიშო თვის განმავლობაში მოსაწოდებული (მიწოდებული) ყოველი 1000 მ³ გაზის „სახელშეკრულებლო ფასი” შედგება ბუნებრივი გაზის ღირებულების კომპონენტის (შემდგომში „ბუნებრივი გაზის ღირებულება”) და „მომარაგების პუნქტში” ბუნებრივი გაზის გადაზიდვის ღირებულების (ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება) კომპონენტისგან, ამგვარი გადაზიდვის არსებობის შემთხვევაში.

6.2. „მყიდველისათვის მიწოდებული ყოველი 1000 მ³ „ბუნებრივი გაზის ღირებულება” (დღგ-ს გარეშე) შეადგენს 315 (სამას თხუთმეტი) აშშ დოლარს.

6.3 „მომარაგების პუნქტში” ბუნებრივი გაზის გადაზიდვის ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაბამისი დადგენილებით, რაც 1000 მ³ (დღგ-ს გარეშე) შეადგენს 18,84 ლარს.

6.4 „გამყიდველი“ ვალდებულია მყიდველისათვის მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ღირებულების ცვლილების შემთხვევაში აცნობოს „მყიდველს“ 30 დღით ადრე.

მუხლი 7. გადახდის პირობები

7.1 შესაბამის „საანგარიშო თვეზე“ ფაქტიურად მოხმარებული გაზის მოცულობა დგინდება თვეში მოხმარებული ბუნებრივი გაზის აქტის საფუძველზე.

7.2 საანგარიშო თვეში ფაქტობრივად მიწოდებულ ბუნებრივ გაზზე გადასახდელი თანხის საბოლოო განსაზღვრა და ანგარიშსწორება ხდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულების შემდეგ, კომერციული აქტისა და მყიდველისათვის წარდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

7.3. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველი ვალდებულია საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ბუნებრივი გაზის ღირებულების სრული ანაზღაურება განახორციელოს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

7.4 „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯერ დაიფარება დარიცხული პირგასამტეხლო, ხოლო შემდეგ გამყიდველის წინაშე არსებული დავალიანება.

7.5 „მყიდველი“ ყოველ საანგარიშო თვეში ფაქტობრივად მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობაზე საბოლოო ანგარიშსწორებას ახორციელებს სს ,საქართველოს ბანკის“ მიერ საანგარიშო თვის ბოლო საბანკო დღეს ლართან მიმართებაში დადგენილი აშშ დოლარის გაყიდვის „მაქსიმალური კურსით. “

7.6 თვის განმავლობაში შესასყიდი ბუნებრივი გაზის ღირებულების დაფარვის საგარანტიოდ, მყიდველი ვალდებულია გარანტიის სახით წარმოადგინოს საბანკო გარანტია ან გარანტია უზრუნველყოს შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონების იპოთეკის საშუალებით.

7.7. „გამყიდველი“ უფლებამოსილია მყიდველს შეუწყვიტოს ბუნებრივი გაზის მიწოდება მყიდველის მხრიდან ამ მუხლით პირობების შეუსრულებლობის გამო კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 8. გაზომვისა პროცედურები

8.1. „მყიდველისათვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის აღრიცხვა წარმოებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ში მოცემულ „მომარაგების პუნქტებში“ მოწყობილ ბუნებრივი გაზის აღმრიცხველი ხელსაწყოებით.

8.2. „მომარაგების პუნქტებში“ ბუნებრივი გაზის აღმრიცხველ ხელსაწყოთა გაუმართაობის (მ.შ. დაზიანების) შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველისთვის“ მიწოდებული ბუნებრივი გაზის რაოდენობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით („ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების“, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ ან/და სხვა აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად).

მუხლი 9. სანქციები

9.1. „მყიდველის“ მხრიდან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, „გამყიდველი“ უფლებამოსილია დაარიცხოს „მყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით „გამყიდველმა“ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.2. პირგასამტეხლოს ათვლის დღედ ითვლება, გადახდის ვალდებულების შესრულების ვადის შემდგომი დღე.

9.3. „გამყიდველის“ მიერ ურთიერთშეთანხმებული მოცულობით ბუნებრივი გაზის მიუწოდებლობის შემთხვევაში, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.6, მე-5 მუხლის და მე-12 მუხლის 12.3, 12.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირობებისა,

„გამყიდველს“ უფლება აქვს დაარიცხოს „მყიდველს“ პირგასამტეხლო მიწოდებული ბუნებრივი გაზის ღირებულების 0,07 % ოოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, „მყიდველის“ მიერ „გამყიდველის“ საბანკო ანგარიშზე გადახდილი ნებისმიერი თანხა პირველ რიგში წარიმართება დავალიანების დასაფარად, საიდანაც თავდაპირველად დაიფარება პირგასამტეხლო, ხოლო შემდეგ ძირითადი თანხა.

9.5 ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლით ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება „მყიდველის“ მიზეზით, „მყიდველს“ დაეკისრება გამყიდველისათვის პირგასამტეხლოს გადახდა, რომლის ოდენობაც გამოითვლება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების „გამყიდველისათვის“ გაგზავნის თარიღიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დანართი 1-ის პირველი პუნქტის შესაბამისად დარჩენილი კალენდარული თვეების განმავლობაში შესასყიდი ყოველი 1000 m^3 ბუნებრივი გაზი გამრავლებული (შეწყვეტილი შეტყობინების გაგზავნის თარიღის თვის ჩათვლით) 60 აშშ დოლარზე.

მუხლი 10. განსაკუთრებული პირობები

10.1. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მყიდველი აცნობიერებს და აღიარებს, რომ მისთვის გაზის მიწოდება, მიწოდებული გაზის ხარისხი და ვადები განპირობებულია „გამყიდველის“ მიერ გაზის მიწოდების შესახებ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შესრულებაზე, რაც ცილდება „გამყიდველის“ გონივრული შესაძლებლობების ფარგლებს. შესაბამისად, „გამყიდველს“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეულ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, რაც გგათანაბრებულია ფორს-მაჟორულ გარემოებასთან.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

11.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

11.1.2. „გამყიდველის“ მიერ - თუ იგი 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინებს "მყიდველს" აღნიშნულის შესახებ.

11.1.3 „მყიდველის“ მიერ თუ იგი 30 დღით ადრე წერილობით შეატყობინებს „გამყიდველს" აღნიშნულის შესახებ.

11.1.4. ამ ხელშეკრულების პირობის დარღვევის შემთხვევაში.

11.1.5 "მყიდველის" მიერ გადახდის პირობების დარღვევის შემთხევვაში

11.1.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის, მათ შორის სტიქიური მოვლენების მოქმედების, "ტრანსპორტირების ლიცენზიატის" სისტემაში სტუიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ავარიით, დივერსიით, ტექნიკური გაუმართაობით ან სხვა რაიმე სახის ავარიით, აგრეთვე სხვა მოვლენებით გამოწვეული ბუნებრივი გაზის მიწოდების შემცირების ან შეზღუდვის შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

12.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ მხარეები გულისხმობენ გარემოებებს (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, საომარი მდგომარეობა და ა. შ) რომლებიც არ არსებობდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

12.3. "გამყიდველს" არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულების პიროების შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია "გამყიდველისათვის" ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობით - აღნიშნული გათანაბრებულია ფორს-მაჟორულ გარემოებებთან და წარმოადგენს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის უპირობო საფუძველს.

12.4 „გამყიდველისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა, გათანაბრებული იქნება ფორს-მაჟორულ გარემოებასთან და წარმოადგენს „მყიდველისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის უპირობო საფუძველს.

12.4. მხარე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად დაასახელებს ფორს-მაჟორულ გარემოებებს (დაუძლეველი ძალა), ვალდებულია მათი დადგომისთანავე აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ და დაადასტუროს მათი არსებობა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ან უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული დოკუმენტით, გარდა იმ შემთხვევებიდა, როდესაც ფორს-მაჟორული გარემოებბის შესახებ გამოცხადებული იქნება სახელმწიფო ორგანოების ან უფლებამოსილი პირის მიერ საჯაროდ საინფორმაციო და მასობრივ საშუალებებში. მხარეები აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრას უზრუნველყოფენ შესაძლო მოკლე ვადაში.

მუხლი 13. უფლებამოსილების დადასტურება

13.1 ხელშეკრულების თითეული მხარე ადასტურებს, რომ ფლობს ყველა რეგისტრაციას, ლიცენზიას, ნებართვას და სხვა უფლებამოსილებას რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროა შესაბამისი მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოვალეობების სრული მოცულობით შესასრულებლად.

მუხლი 14. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

14.1. მხარეები მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა მათ შორის წამოჭრილი ყველა უთანხმოება გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით.

14.2. სადაო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება არბიტრაჟით, კერძოდ „იბერია-არბიტრაჟი-2008”-ში ან საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 15. კონფიდენციალობა

15.1. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ამ ხელშეკრულების კონფიდენციალობა და მასთან დაკავშირებული, როგორც ტექნიკური, ისე კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

15.2. დაუშვებელია ამ ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული, ინფორმაციის "მესამე პირთათვის" გაცემა ხელშეკრულების მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 16. ბუნებრივი გაზის მიწოდების საიმედოობის სტანდარტები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ "ტრანსპორტირების ლიცენზიას" სისტემაში სტიქიური უბედურებით, დივერსიით, ავარიით ან სხვა მოვლენებით გამოწვეული ბუნებრივი გაზის დეფიციტის შემთხვევაში, დასაშვებია ბუნებრივი გაზის მიწოდების შემცირება ან შეზღუდვა, ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება "ბუნებრივ გაზის ბაზრის წესების" შესაბამისად - აღნიშნული გარემოება არ განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევად და უტოლდება ფორს-მაჟორულ გარემოებას.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1.. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 01 იანვრამდე.

17.2. „გამყიდველის“ მიერ „მყიდველისათვის“ ბუნებრივი გაზის მიწოდების ვალდებულება, ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, განისაზღვრება 2018 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდით.

17.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 18. სხვადასხვა

18.1. შეტყობინება მხარეებს შესაძლებელია მიეწოდოთ როგორც წერილობითი ფორმით შესაბამისი მხარის იურიდიულ მისამართზე აგრეთვე წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებით.

18.2 „გამყიდველის“ მიერ „მყიდველისათვის“ ელექტრონული ფორმით გაგზავნილი წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება საურავის დარიცხვასთან, ბუნებრივი გაზის დავალიანების არსებობასთან, ბუნებრივი გაზის წყვეტასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩაითვლება მხარესთვის ჩაბარებულად.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულება და მისი ყველა დანართი, ასევე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით ხელმოწერისა და შეთანხმების შემთხვევაში.

18.4 ხელშეკრულბის რომელიმე დებულების ბათილად გამოცხადება არ იწვევს ხელშეკრულების დანარჩენ დებულებათა ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

18.5. დაუშვებელია მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით მისთვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების გადაცემა „მესამე პირისათვის", მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.6. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, თუ შესრულების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ შესრულების ვადა გადავა შემდგომ სამუშაო დღეზე.

18.7. წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულების თითო ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს, ყველა ეგზემპლიარს გააჩნია თანაბარი იურდიული ძალა.

19. მხარეთა იურდიული მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერები.

"გამყიდველი"
შპს. "ენერგია+"
ქ. ქუთაისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 212830301
ტელ: 599942200; 551156451
"საქართველოს ბანკი" , ც/ ფილიალი
ბანკის კოდი CBASGE22
ა/ა GE64BG0000000121500500
mail: energia.pliusi@gmail.com

დირექტორი :
ზაალი მსხვილიძე

დანართი

1

1. ბუნებრივი გაზის მიწოდების საპროგნოზო გრაფიკი

2018 წელი	ბუნებრივი გაზის საპროგნოზო მოცულობა (ათასი კუბ.მეტრი)
იანვარი	
თებერვალი	
მარტი	
აპრილი	
მაისი	
ივნისი	
ივლისი	
გვისტო	
სექტემბერი	
ოქტომბერი	
ნოემბერი	
დეკემბერი	
ჯამური საკონტრაქტო მოცულობა	